



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/84

ა. თბილისი

27 დეკემბერი 2018წ.


სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტებში ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 24 დეკემბრის №05-01/75 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტებში ცვლილებები სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 24 დეკემბრის №05-01/75 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბუკიძე